მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

დაწესებულება	შპს ნერგები
საიდენტიფიკაციო კოდი	245439878
რეგიონი	აჭარა
რაიონი	ქ. ბათუმი
მისამართი	აღმაშენებლის ქ. N20ა
საფოსტო ინდექსი	6004
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.nergebi.edu.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	nergebib@gmail.com
ტელეფონი/ფაქსი	241996
დაწესებულების ხელმძღვანელი	
სახელი და გვარი	ავთანდილ აბაშიძე
ტელეფონი	598098500
ელ-ფოსტა	-
დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა	
პედაგოგი	32
სერტიფიცირებული პედაგოგი	11
მოსწავლე/სსსმ მოსწავლე	0
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების ნომერი	03.11.2016 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი N19
მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობაა 250

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულება ახორციელებს

დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლოპ როგრამას	■
საბაზოზო გადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას	■
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას	■
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	□

ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 08 ოქტომბრის №920 ბრძანება
მონიტორინგის ჯგუფის წევრები	ავთანდილ აბდუშელიშვილი; დავით ჭეიშვილი
ვიზიტის განხორციელების პერიოდი	2018 წლის 17,18 და 19 ოქტომბერი
დასკვნის მომზადების თარიღი	2018 წლის 25 ოქტომბერი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

I. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

აღწერა	შპს „ნერგების“ (ქ. ბათუმი) მისია მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რის მიღწევას ცდილობს სკოლა და რა ღირებულებებს მიიჩნევს პრიორიტეტულად მიზნების მიღწევის პროცესში; სკოლის ამოცანებს; მიზნებს და ამასთანავე, მისია ახლავს სასკოლო-სასწავლო გეგმას, სკოლის შინაგანაწესს, საგნობრივი კათედრების პორტფოლიოებს და დამრიგებლების პორტფოლიოებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო - სასწავლო გეგმის (შეთანხმებულია 03.09.2018, პედაგოგიური საბჭოს ოქმი N1 - ით და დამტკიცებულია ამავე დღეს სკოლის დირექტორის №01-03/77 ბრძანებით) ნაწილებია: • სკოლის მისია; • განსახორციელებელი ამოცანები და განხორციელების გზები; • მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; • მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება; • სკოლის ფინანსური მართვა და კონტროლი; • შეფასების სისტემა; • აკადემიური მიღწევის შეფასების წესები; • შეფასების სისტემები საგნების მიხედვით და I – IV კლასების განმავითარებელი შეფასება; ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა; • გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; • სადამრიგებლო პროგრამა; • სასკოლო საათობრივი ბადე; • სტანდარტზევით მომსახურება.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	სკოლის სასწავლო გეგმას არ ახლავს: • ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის; • ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა; • ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა; • სკოლის 2017 – 2018 სასწავლო წლის კალენდარი; • საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები; • მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების გამჭვირვალობის მექანიზმები. სკოლის სასწავლო გეგმაში არ ჩანს მისიის დანიშნულება, გამოყენება და მისკენ სავალი გზები. სკოლის სასწავლო გეგმაში არის ასეთი სახის ჩანაწერები როგორიცაა: • „სკოლის სასწავლო გეგმა უნდა შედგებოდეს“; • „სკოლის სასწავლომ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს“; • „სკოლის სასწავლომ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის ხუთი ძირითადი სიახლე კერძოდ: 1) საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი (მნიშვნელოვანია არა იმდენად ის. თუ რა ისწავლა მოსწავლემ); 2) გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები და ა. შ. სასკოლო - სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილია სასკოლო - სასწავლო გეგმის პრიორიტეტები, რომლებიც შემდგომში არსად არ არის გამოყენებული და გათვალისწინებული. დოკმენტში მოცემულია საგნობრივი კათედრების ფუნქციების გაძლიერების და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების გზები, თუმცა საგნობრივი კათედრების პორტფოლიოების შესწავლის შემდეგ ამ ჩამონათვალის (გზების) კვალს ვერ მივაგენით. სადამრიგებლო პროგრამაში საუბარია, რომ სკოლას უნდა ჰქონდეს განსაზრვრული მშობელთა მიღების საათები,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	დამრიგებლის მუშაობის მიმართულებები და შესასრულებელი სამუშაოს ნუსხა. თუმცა მსგავსი რამ სკოლამ ვერ წარმოგვიდგინა. მშობლებთან ინტერვიუერების შემდეგ გაირკვა, რომ მშობლებთა შესახვედრად სკოლას გამოყოფილი აქვს ერთი დღე - პარასკევი და ამდროს იღებენ მშობლები მათთვის საინტერესო ინფორმაციას. კლუბური მუშაობაში გაწერილია, რომ სკოლამ მიიღო ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კათედრის წინადადება კლუბური მუშაობის წარმართვაზე - ქართული ენის დაცვის საკითხებით მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით. დოკუმენტებით და ინტერვიუერებით ირკვევა, რომ დღემდე ამ მიმართულებით არაფერია გაკეთებული. სკოლის სასწავლო გეგმაში გაწერილია ისეთი საკითხები, რაც არაა სკოლის სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი და შეუსაბამობაში მოდის ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლთან. კერძოდ: • სკოლის სასწავლო გეგმით საუბარია სკოლაში სახანძრო უსაფრთხოებაზე, საეუაკუაციო გემაზე; • სკოლის ფინანსებზე; • სკოლის ტერიტორიის დაცვაზე და ა. შ. სკოლის საათობრივ ბადეში და საგაკვეთილო ცხრილში არაა გათვალისწინებული X – XII კლასებში არჩევითი საგნები. სკოლის სასწავლო გემაში ერთ ადგილას აღნიშნულია, რომ სკოლაში არჩევითი საგნებია XI კლასში - შესავალი თანამედროვე ფიზიკაში და XII კლასში სახელმწიფო და სამართალი, თუმცა ეს საგნები, როგორც ზემოთ აღვნიშნე არაა შეტანილი არც სასწავლო ცხრილში და არც საათობრივ ბადეში. გარდა ამისა არსად ფიქსირდება მეათე კლასში რა საგანია არჩევითი საგნის სტატუსით არჩეული. მოსწავლეებთან შეხვედრის დროს ერთ - ერთმა მოსწავლემ აღნიშნა, რომ ისინი სწავლობენ სამედიცინო ბიოლოგიას, თუმცა ეს საგანი არაა სკოლის სასწავლო გეგმაში მითითებული. აღნიშნული მიგვანიშნებს, რომ სკოლას დარღვეული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნა, რომლის თანახმადაც სკოლამ არ უნდა ამოიღოს სასწავლო ბადიდან ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანი/საგნები.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	სკოლის სასწავლო გეგმით არაა განსაზღვრული სპორტის რომელი სახეობებია არჩეული სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურზე. სკოლს სასწავლო გეგმაში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში არ არის გათვალისწინებული საგანი „მე და საზოგადოება“. თუმცა საათობრივ ბადეში და საგაკვეთილო ცხრილში აღნიშნული საგანი შეტანილია. სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის გაწერილი სკოლის თითოეული საფეხურის მიზნები და ამოცანები. სასწავლო შინაარსი კი არ არის ასახული მასწავლებლების საგნობრივ და სააღმზრდელო პროგრამებში. საგნობრივი კათედრების საქაღალდეებში არ ინახება თითოეული საგნის ესგ-ის შესაბამისი თემატური გეგმა, რომელიც ხელს უწყობს სკოლის მისიის შესრულებას. სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის შემაჯამებელი სამუშაოების ამსახველი დოკმენტაცია, არ არის განსაზღვრული შემაჯამებელი სამუშაოების აღდგენის ვადები და წესი. სკოლის სასწავლო გეგმაში მოცემული შეფასების სისტემა გადმოკოპირებულია ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლას არ აქვს განსაზღვრული ატარებს, თუ არა გამოცდებს, როდის აქვთ (საჭიროების შემთხვევაში) მოსწავლეებს საშემოდგომო გამოცდა. არ არის გათვალისწინებული, რომ V – VI კლასებში არ ხდება საშინაო დავალების შეფასებ და ა. შ. სასკოლო სასწავლო გეგმა არ არის ორიენტირებული მისიის მიღწევაზე, რაც დასტურდება გეგმაში ასახული სხვადასხვა აქტივობით და ზემოთ თქმულით. დაწესებულების სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა არ გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას (დანართი №1 55 ფურცელი).
დადასტურება/დანართი	• სასკოლო სასწავლო გეგმით; • პედაგოგიური საბჭოს ოქმით; • სკოლის დირექტორის ბრძანებით; • საგნობრივი კათედრის პორტფოლიოებით; • ინტერვიურებით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

შეფასება	დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

აღწერა	სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა: • ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კათედრა; • საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნობრივი კათედრა; • საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კათედრა; • უცხოურ ენათა საგნობრივი კათედრა; • დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კათედრა; • მათემატიკა - ისტ-ის საგნობრივი კათედრა; • სპორტისა და ესტეტიკური აღზრდის საგნობრივი კათედრა. აღნიშნულ კათედრებში გაერთიანებულია ყველა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი. თითოეულ კათედრას შემუშვებული აქვს დებულება. კათედრის დებულებაში გაწერილია: კათედრის წევრთა შესაძლო ფუნქციები, კათედრის თავმჯდომარის ვალდებულებბი, კათედრის ვალდებულებები, სახელმძღვანელოების შერჩევა, კათედრის მიზნები და კათედრის ამოცანები. კათედრების პორტფოლიოების, შესრულებული სამუშოების ანალიზისა და საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელ პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სხვა მოვალეობებთან ერთად საგნობრივი კათედრები პერიოდულად ვერ ატარებენ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებისათვის სხვადასხვა აქტივობას, არა აანალიზები მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებსა, არაა განსაზღვრული ცალკეული მოსწავლის საჭიროებებზე რეაგირების ფორმები (დამატებითი საათები, მშობლებთან მუშაობა და ა.შ.). ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა გავცნობოდით პედაგოგების სხვადასხვა კლასის შემაჯამებელი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	დავალებების ანალიზს. ზოგიერთს არ ჰქონდა ჩატარებული შემაჯამებელი სამუშაოები, ვისაც ჰქონდა ჩატარებულ, მათ არ ჰქონდათ გაკეთებული ანლიზი. მასწავლებლები საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი აქტივობებით აფასებენ მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევას; მიღწევების და სწავლის შედეგების ანალიზი ასახული უნდა ჰქონდეთ სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სპეციალურ ფორმაში, რომელიც არ არის გაკეთებული. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პერიოდშიც ვერ მოხერხდა თვით ამ ფორმის დამტკიცებული ნიმუშის ნახვა. დაწესებულებამ ვერ წარმოდგინა შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები, ამიტომ ვერ მოხერხდა გაგვეკეთებინა სხვადასხვა კლასის და საგნის შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი მათი თავისებურებებობის გათვალისწინებით და შეგვეფასებინა რამდენად იყო გათვალისწინებულ შემაჯამებელ სამუშაოებში კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული არ არის სპორტის სახეობები, თუმცა სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლაში ტარდება მეცადინეობა, სპორტის შემდეგ სახეობებში: ფეხბურთი და მაგიდის ჩოგბურთი. ფეხბურთის გაკვეთილები მოსწავლეებს უტარდებათ სკოლის შენობის მიმდებარედ საცხოვრებელ კორპუსის კუთვნილ მოედანზე. აღსანიშნავია, რომ სპორტის სახეობები დამტკიცებული არ არის არც სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ და არც პედსაბჭოს სხდომის ოქმით დგინდება, რომ აღნიშნული საკითხი განხილული იყო პედსაბჭოზე. სკოლას აქვს ტერიტორია სადაც შესაძლებელია მოეწყოს ღია სპორტული მოედანი. ვიზიტის პერიოდში სკოლას შენობის მეოთხე სართულზე ჰქონდა გამოყოფილი ოთახი, რომელშიც იდგა ჩოგბურთის მაგიდა და მათი განმარტებით აღნიშნულ აუდიტორიაში ტარდება გაკვეთილები მაგიდის ჩოგბურთში. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით უახლოეს პერიოდში მოეწყობა სკოლის ღია მოედანი, რომელიც მეზობლად მიმდინარე მშენებლობის გამო ვერ მოაწყვეს. საგნობრივი კათედრების პორტფოლიოების შესწავლამ აჩვენა, რომ საგნობრივი კათედრები ან

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	არ ასრულებენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ფუნქციებს: • არ ხდება საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება; • არ ხდება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება; • არ აქვთ საგაკვეთილო პროცესისათვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევის და პედაგოგიური საბჭოსთვის წრდგენის პრაქტიკა; • არ აქვთ სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობის გამოცდილება; • არ აქვთ შემუშავებული რეკომენდაციები სწავლა - სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით. ან კიდევ დაკავებულები არიან სხვა მეგობარი სკოლების მიერ შესრულებული დოკმენტაციის გამოყენებით. მაგალითად ერთ - ერთი საგნობრივი კათედრის მიზნებში და ამოცანებში ვკითხულობთ, რომ „დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების კათედრა აერთიანებს ქ. რუსთავის საგანმანათლებლო დაწესებულების . . .“ . სკოლის უცხოენების და მათემატიკის საგნობრივი კათედრის პორტფოლიოები, რომელებიც სკოლამ ექსპერტებს წარმოგვიდგინა, იყო გასული სასწავლო წლის. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის საგნობრივი კათედრების მუშაობა ვერ აკმაყოფილეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მოსწავლეებთან შეხვედრის დროს გაირკვა, რომ ისინი საკმაოდ კარგად ერკვევიან შეფასების სისტემაში, კრიტერიუმებსა და კომპონენტებში. მოსწავლეთა ერთი ნაწილი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში საკმაოდ წარმატებულად მონაწილეობენ კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტულ თუ შემცნებით ღონისძიებებში, რაც საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. სასკოლო სასწავლო გეგმა სრულად ვერ პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს (დანართი №2 49 ფურცელი).
დადასტურება/დანართი	• საგნობრივი კათედრების პორტფოლიოებით; • საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმებით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	• ინტერვიურებით; • საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმებით; • სკოლის დირექციის და საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელების ინტერუირებით.
შეფასება	**დარღვეულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი;

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

აღწერა	სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ყველა მოსწავლეს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები აქვს. მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად, განხორციელებული აქტივობების, სასწავლო პროცესში გამოყენებული მიდგომებისა და მეთოდების დადგენის მიზნით პედაგოგებთან, დირექციის წარმომადგენლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიურებით დადგინდა, რომ მასწავლებლები იყენებენ სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებს. სკოლას შემუშავებული არ აქვს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი, რომელთა მიხედვითაც დაიგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა და მათი მშობლების განცხადებით, იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სხვებისაგან განსხვავებით საჭიროებენ მეტ დროს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების განვითარებასა და ცოდნის ათვისებას, პედაგოგები ატარებენ დამატებით მეცადინეობებს. ამასთანავე, სკოლას შემუშავებული არ ააქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა. კერძოდ:

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	• ადაპტირებული გარემოს შექმნა; • მოსწავლის საჭიროებების დადგენა; • ინდივიდუალური სამუშაო გეგმის შემუშავება. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა გამოთქვამს მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს აღნიშნული მომსახურეობა. სკოლას შემუშავებული არ აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან სასწავლო და სააღმზრდელო მიდგომები და წესები - აღნიშნულ წესში განსაზღვრულია უნდა იყოს ის მექანიზმები, რომელთა მიხედვითაც სკოლა იმოქმედებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღების შემთხვევაში.
დადასტურება/დანართი	• სასკოლო სასწავლო გეგმით; • მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიურებით.
შეფასება	დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი.

1.4 **სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად**

აღწერა	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც გადმოკოპირებულია ეროვნული სასწავლო გეგმიდან თავისი ქულების გამოანგარიშების წესით და სემესტრული/წლიური შეფასების პრინციპებით. საგნების მიხედვით არ არის შემუშავებული შეფასების სქემები და რუბრიკები. მოსწავლეები მათივე განმარტებით ფასდებიან განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო განმავითარებელი შეფასების ნიმუში მხოლოდ I – IV კლასებისათვის. სკოლას არ წარმოუდგენია შეფასების რუბრიკები რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. შეფასების კრიტერიუმები არ არის გამჭვირვალე, უცნობია მშობლებისთვის, თუმცა ცნობილია მოსწავლეებისთვის.
დადასტურება/დანართი	• სასკოლო სასწავლო გეგმით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	• შეფასების რუბრიკებით საგნების მიხედვით; • ინტერვიუებით;
შეფასება	**დარღვეულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „დ“პუნქტი;

1.5 **შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით**

აღწერა	დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული მოსწაველთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო ცხოვრებაში მშობლის აქტიურ ჩართულობას. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მშობლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მიზნით ტარდება მშობელთა კრებები, სასკოლო აქტივობები - ღონისძიებები. წლის განმავლობაში ტარდება ღია გაკვეთილები, რომლებსაც მასწავლებლებთან ერთად ესწრებიან მშობლებიც. მიუხედავად იმის, რომ ექსპერტებმა ვერ ვნახეთ სკოლის მიერ შემუშავებული დოკმეტი რომლითაც დადასტურდებოდა სკოლაში მშობლის ინფორმირების წესი და ფორმა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ, მშობლებთან ინტერვიურების შემდეგ დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება კლასის დამრიგებლის მიერ ყოველი კვირის ბოლოს პირადი შეხვედრებისა, სოციალური ქსელის საშუალებით, ელექტრონული ფოსტის გამოყენებით და სატელეფონო ზარების საშუალებით.
დადასტურება/დანართი	• სასკოლო სასწავლო გეგმით; • ინტერვიუებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ე“ პუნქტი.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

აღწერა	შპს „ნერგებს“ არ აქვს შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმები.
დადასტურება/დანართი	• ინტერვიურებით; • სასკოლო სასწავლო გეგმით.
შეფასება	**დარღვეულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტი. ვ) შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

2.1

II. მატერიალური რესურსი

აღწერა	სკოლის მისამართია ქალაქი ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №20ა. საჯარო რეესტრის ამონაწერით და იჯარის ხელშეკრულებების თანახმად, უძრავი ქონების მეპატრონეები არიან ფიზიკური პირები ავთანდილ აბაშიძე (პირადი №61009000461) 594.03 კვ.მ-ის მფლობელი და ჯემალ აბაშიძე (პირადი №61009005683) 359.77 კვ.მ-ის მფლობელი. ხელშეკრულების თანახმად სკოლისთვის იჯარიც გაცემული მიწის საერთო ფართი შეადგენს 1878.00 კვ.მ-ს. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლა განთავსებული იყო ოთხსართულიანი შენობის მეორე, მესამე და მეოთხე სართულზე, ხოლო პირველ სართულზე განთავსებული იყო კომერციული ფართები. ხელშეკრულებების თანხამად აღნიშნულ ფართს (შენობის პირველ სართულსაც) იჯარით ფლობს სკოლა, თუმცა საკოლამ ვერ წარმოადგინა ბიზნესოპერატორთან დადებული ხელშეკრულება, ფართის მესამე პირზე გადაცემის შესახებ. სკოლამ ასევე ვერ წარმოადგინა რეესტრით დამოწმებული შიდა აზომვითი ნახაზი, რომლის საფუძველზეც ექსპერტებს მოგვეცემოდა საშუალება ზუსტად განგვესაზღვრა, ჯამური 953,80 კვ.მ-დან (594.03+359.77) ფაქტობრივად რა ფართს იკავებს სკოლა. სკოლას ფართების გამიჯვნის განცხადებით მიმართული აქვს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის (შემდგომში „სააგენტო“) 2018 წლის 19 მარტს, თუმცა 2018 წლის 25 აპრილს სააგენტოს მიერ სარეგისტრაციო წარმოება შეწყვეტეილია. ამონაწერის თანახმად საქმის წარმოების შეწყვეტის მიზეზად, სააგენტოს მიერ დასახელებულია დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტების წარმოუდგენლობა ფიქსირდება (დანართი N3 გადაწყვეტილება N 892018231169-05 (25.04.2018); 1 ფურცელი)

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება (განაცხადის რეგისტრაცია N 882016727419 – 21/10/2016) უძრავი ქონების მესაკუთრის ჯემალ აბაშიძის კუთვნილ ფართზე 594.03 კვ.მ. დადებულია ყადაღა/აკრძალვა N1020160711015. აღნიშნულ ფართს იჯარის ხელშეკრულების თანახმად ამჟამად განკარგავს სკოლა. სკოლის ბუღალტერმა წარმოადგინა დოკუმენტები, რომლელიც ადასტურებს, რომ ბატონ ჯემალ აბაშიძეს ბიუჯეტის სასარგებლობ ჩარიცხული აქვს თანხა და ითხოვს ყადაღის გაუქმებას. სკოლის წამომადგენელთა განცახდებით ამონაწერში ყადაღის არსებობა ტექნიკური ხარვეზია, კერძოდ დავალაინების გადახდის შეუტყობინებლობა საჯარო რეესტრისთვის. (იხ, დანართი N4 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 2 ფურცელი) ზემოთაღნიშნული შეაუსაბამობები, გარდა ყადაღისა, შპს ნერგებში, 2016 წელს, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროსაც ფიქსირდებოდა, რაც ასახულია ექსპერტთა დასკვნაში და 03.11.2016 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი N19-ში. (დანართი N5 03.11.2016 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი N19, 10 ფურცელი)
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N 05.25.06.030.01.500 N 05.25.06.030.01.506 N 05.25.06.060
დადასტურება/დანართი	• ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან; • იჯარის ხელშეკრულებით; • ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება	**დარღვეულია** „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

აღწერა	მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პერიოდში სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	16 საკლასო ოთახში, კომპიუტერული კლასსა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში (ქიმი, ფიზიკა, ბიოლოგია). ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად, სასწავლო დაფით და მასწავლებლის მაგიდით. დაწესებულების საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლის მფლობელობაშია: ინდივიდუალური მერხი და სკამი - ჯამში 285 ერთეული. აღნიშნული მერხკომპლექტები პიზიკურ პირს ჯემალ აბაშიძეს უსასყიდლოთ აქვს გადაცემული 2006 და 2011 წლებში შპს ნერგებისთვის. სკოლის შენობის ვიზუალურმა დათვალიერებამ ცხადყო, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს საკლასო ოთახებში განთავსებული იყო 194 ერთეული მერხკომპლექტ, ასევე სკოლის მეოთხე სართულზე დასაწყობებული იყო 26 ერთეული მერხკომოლექტი, ჯამში სულ 220 ერთეული. სკოლის წამომადგენლების განცხადებით ბალანსზე რიცხული დანარჩენი მერხები შესაბამისი სკამებით დასაწყობებული ჰქონდა სკოლის ეზოს ტერიტორიზე არსებულ საწყობში. სკოლის წარმომადგენლების განცხადებით აღნიშნულის საწყობის გასაღები მხოლოდ ერთ პირს აქვს, რომელიც მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს ბათუმში არ იმყოფებოდა და შესაბამისად ვიზიტის პერიოდში ვერ მოხერხდა დასაწყობებული მერხების აღრიცხვა.
დადასტურება/დანართი	• ჩუქების ხელშეკრულება/აქტით ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, გაფორმებული ჯემალ აბაშიძესა და შპს ნერგებს შორის; • მიღება-ჩაბარების აქტებით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	დარღვეულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

აღწერა	სასკოლო სასწავლო გეგმით არ დგინდება სკოლის მიერ არჩეული სპორტის სახეობები. 03.11.2016 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი N19-ის თანახმად, დაწესებულებამ 2016 წლის ნოემბერში აიღო ვალდებულება 1 თვეში საკუთარ ტერიტორიაზე სპორტული მოედნის მოწყობაზე. (იხ. დანართი N5) მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს აღნიშნული ვალდებულება შესრულებული არ იყო, სკოლის დირექტორის განცხადებით დაწყებულია და მალე მოაწყობენ მოედანი. სკოლას ტერიტორიაზე აქვს მცირე ზომის დარბაზი, რომელშიც საგაკვეთილო პროცესისი დასრულების შემდეგ ტარდება ქართული ცეკვის მეცადინეობები. სკოლა ასევე ფლობს მაგიდის ჩოგბურთის მაგიდას, რომელიც სკოლის მეოთხე სართულზეა განთავსებული და ჭადრაკის დაფებს. სკოლის საათობრივ ბადის თანახმად დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები შეისწავლიან ჭადრაკს. სკოლის მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათთვის უმნიშვნელოვანესია მოუწესრიგებელი სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.
დადასტურება/დანართი	• ინტერვიუირებით; • 03.11.2016 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი N19-ით • სპორტული ინვენტარის შესყიდვის ზედნადებებით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	**დარღვეულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

აღწერა	დაწესებულებას შპს „ინსტა-ჯორჯიასგან“ შეძენილი აქვს საბუნებისმეტყველო აღჭურვილობა. შენობის მეოთხე სართულზე განთავსებულია ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორია. ლაბორატორიას არ აქვს საცავი, სადაც ინახება ძირითადი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	აღჭურვიობა. აღჭურვილობა განთავსებულია ლაბორატორიული კაბინეტების კარადებში. სკოლის ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟებულია სველი წერტილი, ლაბორატორიას აქვს ბუნებრივი განათებისა და განიავების საშუალება.
დადასტურება/დანართი	• ხლშეკრულებით შპს „ინსტა-ჯორჯიასა“ და შპს ნერგებს შორის; • მიღება-ჩაბარების აქტებით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ.

2.2 **სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**

აღწერა	სკოლას მიეწოდება ელექტროენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი. შენობაში არ არის ცენტრალური გათბობის სისტემა. დირექტორის განმარტებით საკლასო ოთახები თბება ელექტროქურებით. კლასებში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. შენობაში განთავსებულია 4 სველი წერტილი, მათ შორის 2 ადმინისტრაციისათვის, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთათვის. სკოლის ეზოში ასევე ფუნქციონირებს 6 სველი წერტილი გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. სკოლის მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების თანახმად ისინი ისურვებდნენ სველ წერტილებში ჰიგიენის ნორმების გამკაცრებას, მაგალითისთვის: მოსწავლეთა განცხადებით საპირფარეშოში ხშირია უსიამოვნო სუნი, ეზოში არსებულ საპირფარეშოს ონკანში არ მოდის წყალი და ხელის დაბანა უწევთ ეზოში არსებულ ონკანზე.
დადასტურება/დანართი	• მოხმარებული ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის გადახდის ქვითრებით; • ვიზუალური დათვალიერებით; • ინტერვიუირებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

აღწერა	სკოლის ბიბლიოთეკის საცავი განთავსებულია შენობის მესამე სართულზე. დაწესებულებას მფლობელობაში აქვს 1453 წიგნი, რომელიც მოიცავს, როგორც მხატვრულ, სამეცნიერო, ასევე გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. სკოლა სრულად არ ფლობს სასკოლო სახელმძღვანელოებს I-VI კლასებში, ხოლო VII-XII კლასის სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულებში არის ჩანიშვნები და ყველა არის შევსებული. ბიბლიოთეკაში არის ანბანური საძიებო კატალოგი, შექმნილია დებულება და საინვენტარო წიგნი, გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა გამოყოფილი სამკითხველო დარბაზი/სივრცე, სკოლას აქვს მხოლოდ წიგნების საცავი და არ იყო ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულება.
დადასტურება/დანართი	• საინვენტარო წიგნითა და ანბანური კატალოგით; • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებით, დებულებით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	**დარღვეულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

აღწერა	სკოლის შენობა ოთხსართულიანია, მის პირველ, მეორე და მესამე სართულზე დამონტაჟებულია პანდუსები, თუმცა მეოთხე სართული სსსმ პირებისთვის არ არის ადაპტირებული. სკოლის მეოთხე სართულზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები და დგას ჩოგბურთის მაგიდა. სკოლის მესამე სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები სსსმ პირებისთვის.
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	დარღვეულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათშორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არაუმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

აღწერა	სკოლას აქვს ინტერნეტით უზრუნველყოფილი 16 კომპიუტერი და 3 პრინტერი. აღნიშნული კომპიუტერებიდან 11 განთავსებულია კომპიუტერულ კლასში. სკოლის ვებგვერდია www.nergebi.edu.ge მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლის ვებგვერდი იყო გათიშული და არ ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.
დადასტურება/დანართი	• სკოლის ვებგვერდით www.nergebi.edu.ge • ინვენტარიზაციის აქტებით; • კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის და ჩუქების ხელშეკრულებებით;
შეფასება	დარღვეულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

აღწერა	დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს პერსონალის, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები, მათ შორის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვის მიზნით დამონტაჟებულია 4 ცეცხლმაქრი. ცეცხლმაქრები გადამუხტულია მოთხოვნილი წესის თანახმად.
დადასტურება/დანართი	• ცეცხლმაქრების შეძენის დოკუმენტაციით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	დარღვეულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ.

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა

აღწერა	შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც მომზადებულია შპს „ნერგებისთვის“. გეგმაში შენობის რეალური განლაგება სწორად არ არის ასახული (ადმინისტრაციის განმარტებით აღნიშნული საევაკუაციო გეგმა არ გადაუმოწმებიათ და დამზადებისთანავე გამოაკრეს).
დადასტურება/დანართი	• ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	დარღვეულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ.

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

აღწერა	სკოლას შენობის მესამე სართულზე აქვს სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს ექიმი. სპეციალურად განკუთვნილ კარადაში განთავსებულია პირველადი სამედიცინო

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	დახმარების აღმოჩენისა და ჯანმრთელობის დიაგნოსტიკის საშუალებები. შემუშავებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.
დადასტურება/დანართი	• ექიმთან დადებული ხელშეკრულებით: • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	დაკმაყოფილებულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

აღწერა	სკოლაში წესრიგს და მოსწავლეთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ პედაგოგები მორიგეობის მეშვეობით. ამისათვის არსებობს დირექტორის მიერ დამტკიცებული პედაგოგთა მორიგეობის ცხრილი, რომელებიც გამოკრულია სკოლის დერეფნებში.
დადასტურება/დანართი	• პედაგოგთა მორგეობის სიით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	დაკმაყოფილებულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლისში და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

აღწერა	2011 წლის 23 სექტემბრის ხელშეკრულების თანახმად დაწესებულებას შპს „ჯესკოსგან“ შეძენილი აქვს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, რომელიც დამონტაჟებულია სკოლის შესასვლელში. სკოლას შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია 2 ვიდეოთვალი. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულ კამერებს ჰქონდათ ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ არ ხდებოდა ჩანაწერის გაკეთება. სკოლაში ვიდეოსამეთვალყურეო სისტემაზე პასუხისმგებელი პირის ფიზიკურად არ ყოფნის გამო ვერ მოხერხდა ხარვეზის აღმოფხვრა. ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრებს არ მოგვეცა საშუალება გადაგვემოწმებინა ჩანაწერის შენახვის ვადის შესაბამისობა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ წესთან და შეგვემოწმებინა შიდა პერიმეტრზე არსებული კამერების გამართულობა.
დადასტურება/დანართი	• 2011 წლის 23 სექტემბერს შპს ჯესკოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება	დარღვეულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

აღწერა	სკოლას შემუშავებული აქვს წესდება. სკოლის ფუნქციონირება რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც განხილულია პედსაბჭოზე და დამტკიცებულია დირექტორის მიერ, სადაც გაწერილია: სტრუქტურა, თანამშრომელთა მიღებისა და დათხოვნის წესები; მოსწავლეთა მიღების წესები; თანამშრომელთა, მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის უფლება-მოვალეობები; დისციპლინარული დარღვევები და სახდელები; მოსწავლეებისა და მასწავლებლების წარმატებებისა და წახალისების ფორმები, შეფასების სისტემა და სხვა.
დადასტურება/დანართი	• სკოლის წესდებით;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	• სკოლის შინაგანაწესით.
შეფასება	დაკმაყოფილებულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

აღწერა	სკოლაში შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი(ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. სკოლის განვითარების გრძელვადიან გეგმაში - გათვალისწინებული იყო სასწავლო პროცესის სრულყოფის, სწავლა–სწავლების ხარისხის ამაღლებისა და ცოდნის შედეგიანობის გაზრდის ხელშემწყობი პირობები. გეგმაში მითითებულია აღნიშნული პრიორიტეტების განხორციელების კონკრეტული ღონისძიებები.
დადასტურება/დანართი	• სკოლის განვითარების გძელვადიანი (6 წლიანი) გეგმა; • ერთწლიანი სამოქმედო პროგრამა; • გეგმის ანალიზი წლების მიხედვით;
შეფასება	დაკმაყოფილებულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა
აღწერა	სკოლაში მოქმედებს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის სისტემა. სკოლაში შექმნილია ბრძანებების, ოქმების, შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალები. შემუშავებულია სპეციალური საქმიანი ბლანკები, რომლებზეც გამოსახულია სკოლის ლოგო, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლაში მიმდინარეობს დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების, შემოსული და გასული კორესპოდენციების და სხვა სახის დოკუმენტების მოსწავლეთა მიღების, მოძრაობის, ცნობების გაცემის, პედაგოგიური საბჭოს სხდომების, კათედრების მუშაობის ოქმებისა და სხვა მიმდინარე პროცესების ამსახველი დოკუმენტების აღრიცხვა.
დადასტურება/დანართი	• ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების, კორესპოდენციების აღრიცხვის და რეგისტრაციის წიგნები; • სათანადო წესით დანომრილი და დალუქული ბრძანების წიგნი; • ბრძანების სარეგისტრაციო ჟურნალი; • შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები; • კათედრების სხდომის ოქმების აღრიცხვის ჟურნალი;
შეფასება	დაკმაყოფილებულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4ბ.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

III. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

აღწერა	შპს ნერგებში განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მონაცემების თანახმად დასაქმებულია 39 თანამშრომელი, მათ შორის : 32 მასწავლებელი. დანარჩენი 7 პირი სკოლის ადმინისტრაციულ და ტექნიკურ რგოლს წარმოადგენენ.
დადასტურება/დანართი	• თანამშრომელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებით; • თანამშრომელთა პირადი საქმეებით; • განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4გ.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

აღწერა	მასწავლებელთა სკოლაში დასაქმება რეგულირდება “ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით. გამონაკლისს წარმოადგენს ერთი პედაგოგი თორნიკე კალანდაზე, რომელიც სკოლის საათობრივი ბადის თანახმად, სავალდებულო საგნის სტატუსით, მოსწავლეებს ასწავლის ჭადრაკს. თორნიკეს არ აქვს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი, მისი განცხადებით იგი ამჟამად მეორე კურსის სტუდენტია და ფლობს მხოლოდ ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის მიერ გაცემულ ტრენერის სერტიფიკატს.
დადასტურება/დანართი	• განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზით. • თანამშრომელთა პირადი საქმეებით; • ინტერვიურებით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

შეფასება	დარღვეულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4გ.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

აღწერა	სკოლის პედაგოგები და დირექციის წევრები სამსახურში მიიღებიან შინაგანაწესით დადგენილი წესით. შინაგანაწესისი თანახმად პედაგოგის შერჩევის დროს ითვალისწინებენ განათლების ხარისხს, პედაგოგიურ გამოცდილებას, კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს. მიღებულ პირს აცნობენ წესდებას და შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციებს. მასთან ფორმდება ხელშეკრულება, სადაც აღინიშნება თანამდებობა, ხელფასი, უფლებამოსილება და დავის წარმოშობის შემთხვევაში მისი გადაწყვეტის წესი. შინაგანაწესის თანახმად, დირექტორი უფლებამოსილია დაითხოვოს თანამშრომელი ხელშეკრულების ვადის გასვლის, შინაგანაწესის დარღვევის, სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ან სხვა მიზეზით. სკოლაში შემუშავებულია წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა, რომელიც გაწერილია შინაგანაწესში. სწავლებასა და აღზრდაში მიღწეული წარმატებებისათვის გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები: ა) სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დისციპლინური გადაცდომისთვის, დასაქმებულის მიმართ გამოიყენება შემდეგი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები: ა) წერილობითი გაფრთხილება; ბ) საყვედური; გ) სასტიკი საყვედური; დ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; ე) სამსახურიდან გათავისუფლება.
დადასტურება/დანართი	• შპს ნერგების წესდებით და შინაგანაწესით; • გაფორმებული ხელშეკრულებებით; • სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.
შეფასება	**დაკმაყოფილებულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4გ.

3.4 **მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები**

აღწერა	სკოლის დირექტორს სკოლის ყველა პედაგოგთან, ადმინისტრაციის წევრებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 10 თვის ვადით. სკოლაში თანამშრომელთა თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანების თანხამდ ორგანიზაციაში დასაქმებული არიან პირები, რომელთაც აღნიშნულ სკოლასთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. აღნიშნულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიც ათთვიანია, რაც შეუსაბამობაში მოდის საქართველოს ორგანულ კანონთან - საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის 1.[3] პრიმა პუნქტთან, რომლის თანახმადაც: "თუ შრომითი ხელშეკრულება დადებულია 30 თვეზე მეტი ვადით, ან თუ შრომითი ურთიერთობა გრძელდება ვადიანი შრომითი ხელშეკრულებების ორჯერ ან

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	მეტჯერ მიმდევრობით დადების შედეგად და მისი ხანგრძლივობა აღემატება 30 თვეს, ჩაითვლება, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება. ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული შრომითი ხელშეკრულება გაგრძელდა მისი ვადის გასვლისთანავე ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება დაიდო პირველი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის განმავლობაში". (დანართი N 6; 4 ფურცელი)
დადასტურება/დანართი	• სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეებით; • შრომითი ხელშეკრულებებით; • თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებათა ჩანაწერებით.
შეფასება	**დარღვეულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4გ.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

აღწერა	მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტს დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა/დაადასტურა სკოლის შიდა ბაზაზე შემუშავებული ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. პედაგოგთა ინტერვიუირების თანახმად ისინი ხშირად ესწრებიან ერთმანეთს და ახდენე საგაკვეთილო დაკვირვებას, განიხილავენ გაკვეთილებს, აცნობენ ერთმანეთს მეთოდურ სიახლეებს, თუმცა აღნიშნული თანამშრომლობის დოკუმენტური დასაბუთება არ აქვთ.
დადასტურება/დანართი	• ინტერვიუირებით.
შეფასება	**დარღვეულია** "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4გ.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

აღწერა	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მონიტორინგის ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის თანამშრომლები ერთმანეთის მიმართ გამოირჩეოდნენ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით. თანამშრომლობითი დამოკიდებულება იგრძნობოდ ექსპერტებთანაც. აღნიშნული კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ინტერვიუს დროს აღნიშნეს მშობლებმაც და მოსწავლეებმაც.
დადასტურება/დანართი	• ინტერვიურებით;
შეფასება	დაკმაყოფილებულია "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანების მუხლი მე-2, პუნქტი 4გ.

თანდართული დოკუმენტაცია

სულ დანართი	121 ფურცელი

თბილისი 12.11.2018

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....